ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №3165133

ნომერი: AR1486809

თარიღი : 16.03.2017

გაცემის თარიღი : 23.03.2017

გაცნობის თარიღი : 23.03.2017

შედეგი : განუხილველი.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , გამზირი თამარ მეფე , N24-ის მიმდებარედ / ქალაქი თბილისი , გამზირი თამარ მეფე , N 24 ;

დამკვეთი-განმცხადებელი

- მეჰმეთ თალი პ/ნ 01097001402
- თბილის ი.ჭავჭავაძის გამძ. N37 კორპ.1ა

ნომენკლატურა :

- I კლასი
- შენობა-ნაგებობის ფასადზე მცირე ზომის არქიტექტურული ელემენტების, კონსტრუქციების და ტექნიკური საშუალებების მოწყობა ან დემონტაჟი

რეკონსტრუქცია

"საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის" მე-5, 51-ე, 52-ე, 83-ე, 96-ე, მე-100 მუხლების, VI თავის, "მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილების თანახმად

გადაწყვეტილება

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ- ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურმა განიხილა თქვენ მიერ ელექტრონულად ატვირთული დოკუმენტაცია და შეტყობისნების საშუალებით დაფიქსირებული განმარტება.

აღნიშნულთან დაკავშირებით გაცნობებთ შემდეგს:
პროექტის მშენებლობის ორგანიზაციის პროექტი, უსაფრთხოების მიზნით თავისთავად უნდა მოიცავდეს დროებითი სამშენებლო ღობის და ხარაჩოების მოწყობას, რის შესაბამისადაც სამსახური ამ პროექტისგან დამოუკიდებლად, როგორც I კლასის დროებითი ღობისა და ხარაჩოების მშენებლობაზე ვერ გასცემს შესაბამის წერილობით თანხმობას.
გამომდინარე ზემოაღნიშნულიდან, სამსახური მოკლებულია შესაძლებლობას დააკმაყოფილოს თქვენი მოთხოვნა აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით. დამატებით გაცნობებთ:
საქართველოს მთავრობის 24.03.2009 წ. #57 დადგენილების 84-ე მუხლის მე-3 და მე-4-ე პუნქტების თანახმად - სამშენებლო მოედნის საზღვრები, როგორც წესი, უნდა მოექცეს მიწის ნაკვეთის საზღვრებში. იმ შემთხვევებში, როდესაც სამშენებლო მოედნის საზღვრები არ არის საკმარისი სამშენებლო საქმიანობის განსახორციელებლად და ამისათვის არსებობს დასაბუთებული აუცილებლობა, მაშინ იმ მოსაზღვრე მიწის ნაკვეთების ან/და საზოგადოებრივი ტერიტორიის/სივრცის გამოყენება, რომელ-საც არ ფლობს საკუთრებაში მშენებლობის ნებართვის მფლო ბელი, განისაზღვრება ხელშეკრულებით, რომელიც მშენე ბლობის ნებართვის მფლობელსა და ამ მიწის ნაკვეთების ან/და საზოგადოებრივი სივრცეების/ტერიტორიების მესაკუთრეებს შორის არის გაფორმებული.

- დამატებით გაცნობებთ, რომ გაურკვევლობის შემთხვევაში ინფორმაციის მისაღებად შეგიძლიათ დარეკოთ მერიის ცხელ ხაზზე - 2722222, ასევე შეგიძლიათ მობრძანდეთ შარტავას ქ. #7, მერიის შენობა, პირველი სართული, სივრცე#4.

- გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.